



ეგზ. N 2

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„25“ 12 2014 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის
სააგენტოს“ 01.01.2011 – 01.01.2014 პერიოდის

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 0144/00

შინაარსი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
1. ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები.....	5
2. 2012 წლის ოქტომბრის თვეში შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის დაუსაბუთებელი ზრდა.....	8
3. 2012 წელს სააგენტოს საშტატო განრიგში განხორციელებული დაუსაბუთებელი ცვლილებები	9
3.1. მივლინების და გადამზადების ხარჯები.....	10
4. შპს „YIT გერმანიასთან“ ავლაზრის ადმინისტრაციული კომპლექსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები	11
5. შვეულმფრენის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების და მათი შესრულების ხარვეზები	12
5.1. შპს „ვანილა სქაი ჯორჯიასა“ და შპს „სერვისეირთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები	12
5.2. შპს „ავიასაწვავსერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები.....	13
6. მთავრობის განკარგულების არასწორი გამოყენების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებები	14
7. ჩანაცვლებასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები.....	15
8. წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სისუსტეები	16
9. არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლასა და აღრიცხვასთან დაკავშირებული შეუსაბამოებები	17
9.1. მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	17
9.2. შენობა-ნაგებობები და არაწარმოებული აქტივები.....	18
10. ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობა	19
11. ცვეთის დარიცხვის მეთოდის არასწორი გამოყენება.....	19
პირობითი მოსაზრება	19

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების აბზაცი	20
1. შრომის ანაზღაურება.....	20
2. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით შეძენილი მატერიალური მარაგები	20
3. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემამდე გაფორმებული ხელშეკრულებები	22
4. საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული კონტროლის სისტემები.....	22
5. კომუნალური ხარჯები.....	23

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2011 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდს. აუდიტის დროს შესწავლილ იქნა:

- ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
- შესყიდვების პროცედურის კანონთან შესაბამისობა;
- სახელმეკრულებო პირობების დაცვის უზრუნველყოფის საკითხები.

აღნიშნულის გარდა ანგარიშში აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - ზემოაღნიშნული საქმიანობის გარდა, სააგენტოს სხვა საქმიანობის წარმართვა, რესურსების გამოყენება, ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნების მოქმედ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულების დაუცველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება სააგენტოს საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, სააგენტოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას,

რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო რწმუნების მისაღებად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები

სააგენტოს დამტკიცებული და დაზუსტებული ასიგნებები წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით (ათას ლარებში):

	2011		2012		2013	
დასახელება	დამტკიც. გეგმა პირვანდელი	დაზუსტ. გეგმა	დამტკიც. გეგმა	დაზუსტ. გეგმა	დამტკიც. გეგმა	დაზუსტ. გეგმა
შრომის ანაზღაურება	1,969.8	2,267.2	2,204.2	2,643.7	2,563.3	2,773.3
საქონელი და მომსახურება	2,433.2	2,033.3	2,006.3	2,991.93	2,233.8	3,415.2
სოც. უზრუნველყოფა	5.0	17.0	10.0	28.7	20.0	115.0
სხვა ხარჯები	92.0	44.0	100.0	25.0	52.0	42.0
არაფინ. აქტივების ზრდა	1,000.0	1,238.5	1,179.5	760.0	630.9	145.9
ვალდ. კლება	-	0.015	-	0.67	-	15.3
სულ	5,500.0	5,600.0	5,500.0	6,450.0	5,500.0	6,506.7

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პროგრამული კოდისთვის 40 02 „სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა“ წლიური საბიუჯეტო ასიგნება და მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრა 5,500.0 ათასი ლარით და 200 ერთეულით. სააგენტოს 2013 წლის დამტკიცებული გეგმა დაზუსტდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 1,006.7 ათასი ლარის გამოყოფით და შეადგინა 6,506.7 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

განკარგულების ნომერი	გამოყოფილი თანხა	საკასო	შინაარსი
#24/04/01 24.04.2013	250.0	249.5	სააგენტოს წესდებით განსაზღვრული ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით
#24/01/02 24.01.2013	6.7	6.2	საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით
#19/03/02 19.03.2013	150.0	146.5	მიმდინარე საჭიროებისა და მასზე გადაცემული ქონების ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით
#12/06/01 12.06.2013	400.0	398.0	მიმდინარე საჭიროებისა და მასზე გადაცემული ქონების ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით
#19/08/01 19/08/2013	200.0	199.1	წესდებით განსაზღვრული ამოცანების სრულყოფილად შესრულების, სააგენტოს მიმდინარე საჭიროებებისა და მასზე გადაცემული ქონების ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით
სულ	1,006.7	999.3	

2013 წელს, სააგენტოს 2013 წლის 24 აპრილის პრეზიდენტის #24/04/01 განკარგულების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 250.0 ათასი ლარი „სააგენტოს წესდებით განსაზღვრული ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით“. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად¹ „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად“. სააგენტოს, სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფის მოთხოვნისას², არ არის დასაბუთებული გაუთვალისწინებელი გადასახდელების გამოყოფის აუცილებლობა. არც პრეზიდენტის განკარგულებით არის განსაზღვრული გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა, რაც ეწინააღმდეგება საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3-ე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ.

სააგენტოს 2012 წლის ოქტომბრის თვეში გადმოეცა ქონება. (განხილულია საიდუმლო ნაწილში) პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული ქონების ექსპლუატაციის ხარჯები 2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებებში ვერ იქნა გათვალისწინებული. შესაბამისად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის განკარგულებების საფუძველზე სააგენტოს 2013 წელს „მიმდინარე საჭიროებისა და მასზე გადაცემული ქონების ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით“ გამოეყო 750.0 ათასი ლარი.

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 28; პუნქტი 2

² ზემდგომ ორგანოსადმი მიწერილი წერილით ორგანიზაცია ითხოვს შუამდგომლობას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 250.0 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე „წესდებით განსაზღვრული ამოცანების სრულყოფილად შესრულების, გადმოცემული ქონების ექსპლუატაციისა და მიმდინარე საჭიროების გათვალისწინებით“

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით პროგრამისთვის „სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა“ წლიური საბიუჯეტო ასიგნება და მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრა 5,500.0 ათასი ლარით და 200 ერთეულით. სააგენტოს 2012 წლის დამტკიცებული გეგმა დაზუსტდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 950.0 ათასი ლარის გამოყოფით და შეადგინა 6,450 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოიყო შემდეგი ოდენობებით:

2012 წლის 20 მარტს N20/03/10 პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სააგენტოს გამოეყო 50.0³ ათასი ლარი „სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით“. სააგენტოს სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფის მოთხოვნისას⁴ არ არის განსაზღვრული გაუთვალისწინებელი გადასახდელების გამოყოფის აუცილებლობა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სააგენტოს ჰქონდა საკმარისი რესურსი განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, რადგან საბიუჯეტო წლის პირველივე კვარტალში მან ვერ აითვისა ასიგნება სრულად და გადაიტანა მე-2 კვარტალში, სულ 253.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მე-2 კვარტალიდან მე-3 კვარტალში 370.6 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, მიმდინარე რესურსების გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი ფინანსური რესურსის მოთხოვნის აუცილებლობა დაუსაბუთებელია.

2012 წლის 19 ოქტომბრის N19/10/02 პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სააგენტოს გამოეყო 900.0 ათასი ლარი „სააგენტოს მიმდინარე საჭიროებისა და მასზე გადაცემული ქონების⁵ ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით“. წლის ბოლოს სააგენტოს აუთვისებელი დარჩა 165.7 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან -10.2 ათასი ლარი).

2011 წლის ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სააგენტოს დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნება და მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრა 5,500.0 ათასი ლარით და 214 ერთეულით. სააგენტოს 2011 წლის დამტკიცებული გეგმა დაზუსტდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 100.0 ათასი ლარის გამოყოფით და შეადგინა 5,600 ათასი ლარი. პრეზიდენტის #18/04/04 18.04.2011 განკარგულების საფუძველზე

³ 40.0 ათასი ლარი საქონელი და მომსახურების, ხოლო არაფინანსური აქტივების მუხლით - 10.0 ათასი ლარი

⁴ ზემდგომ ორგანოსადმი მიწერილი წერილით ორგანიზაცია ითხოვს შუამდგომლობას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 50.0 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე „წესდებით განსაზღვრული ამოცანების სრულყოფილად შესრულებისა და მიმდინარე საჭიროების გათვალისწინებით“

⁵ გრიფით საიდუმლოდ გადმოცემული ქონება

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სააგენტოს გამოყოფა 100.0⁶ ათასი ლარი „სააგენტოს შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და მასზე დაკისრებული ამოცანების ჯეროვანი შესრულებისათვის“. სააგენტოს მიერ სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფის მოთხოვნისას⁷ არ აქვს განსაზღვრული დამატებითი სახსრების გამოყოფის აუცილებლობა. არც პრეზიდენტის განკარგულებით არის სრულად განსაზღვრული გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა, რაც ეწინააღმდეგება საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების გამოყოფის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ.

2. 2012 წლის ოქტომბრის თვეში შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის დაუსაბუთებელი ზრდა

„საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან სააგენტოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 2012 წლის განმავლობაში სულ გაწეულია 207.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა 2012 წლის ოქტომბრის თვეში გაიზარდა 5-დან 70 ერთეულამდე და შეადგინა საშტატო რიცხოვნობის 35%. 2012 წლის 16 ოქტომბრის N1874 განკარგულებით სააგენტოზე არ გავრცელდა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრა 70 ერთეულით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული პირები დასაქმებული იყვნენ შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფაში“, რომელიც ლიკვიდირდა 2012 წლის 15 ოქტომბერს. სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნულ მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არის სტანდარტული შინაარსის და არ არის განსაზღვრული თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დეტალური აღწერა, მომუშავეთა 56%⁸ (38 პირი) აყვანილია „სპეციალისტის“ თანამდებობაზე, რომელთა პასუხისმგებლობას წარმოადგენდა „სააგენტოს ბალანსზე არსებული ქ. თბილისში ცუცქირიძისა და აბდუშელიშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობების მომსახურება“. აღნიშნული მომსახურების დეტალური აღწერა ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული. სააგენტომ ასევე ვერ წარმოადგინა სამუშაო აღწერის დოკუმენტები. 2012 წლის 2.5 თვის განმავლობაში, აღნიშნული შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურებაზე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებიდან გაიწია 166.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რომლის ხარჯვის მიზნობრიობა დაუსაბუთებელია.

⁶ 50.0 ათასი ლარი საქონელი და მომსახურების მუხლით, ხოლო არაფინანსური აქტივები - 50.0 ათასი ლარი

⁷ ზემდგომ ორგანოსადმი მიწერილი წერილით ორგანიზაცია ითხოვს შუამდგომლობას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 100.0 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე „წესდებით განსაზღვრული ამოცანების სრულყოფილად შესრულებისა და მიმდინარე საჭიროების გათვალისწინებით“

⁸ (38/68)%

3. 2012 წლის სააგენტოს საშტატო განრიგში განხორციელებული დაუსაბუთებელი ცვლილებები

2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში სააგენტოს სტრუქტურასა და საშტატო განრიგში შესული ცვლილებების და შესაბამისი ხარჯების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დაუსაბუთებელია განხორციელებული ცვლილებების მიზნობრიობა და აუცილებლობა, შესაბამისად სააგენტოს მიერ გაწეულია 88.3 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი.

სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 1 ნოემბრის N1/75 ბრძანებით დირექტორის მოადგილის შტატი გაიზარდა 3 ერთეულით (5 ერთეულამდე).

სააგენტოს დირექტორის ბრძანებების საფუძველზე 2012 წლის ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში - 2013 წლის 30 სექტემბრამდე ვადით, დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლების ვაკანტური პოზიციები ათვისებულ იქნა⁹.

სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 1 ნოემბრის N1/75 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურით, დირექტორსა და დირექტორის 2 მოადგილეზე გადანაწილდა სააგენტოს 7 სამსახური, ხოლო 3 ახალ მოადგილეს საკურატორო სფეროები არ განესაზღვა. 2012 წლის 31 დეკემბრის N1/88 ბრძანებით შეცვლილი სტრუქტურით, საკურატორო სფეროები გადანაწილდა 5 მოადგილეზე. ახლად დანიშნული 3 მოადგილის საკურატორო სფეროების კონტროლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად ვერ დასტურდება სააგენტოს მიერ აღნიშნული შტატის გაზრდის აუცილებლობა და მიზნობრიობა. აღნიშნული დაუსაბუთებელი ცვლილების შედეგად 2012-2013 წლების განმავლობაში 3 მოადგილეზე სულ არაეფექტიანად გაიწია 88.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 72.2 ათასი, „მივლინების“ მუხლით 9.9 ათასი, ხოლო „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით 6.2 ათასი ლარი (კადრების მომზადება-გადამზადება). რაც ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73²-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით „საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი“.

⁹ ნიკოლოზ სეფაშვილი, კახაბერ ხაჩირაშვილი და ბესიკ ბარქაია

3.1. მივლინების და გადამზადების ხარჯები

მივლინების ხარჯი

მივლინების ხარჯების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ 2012-2013 წლების განმავლობაში დირექტორის ახალ მოადგილეებზე გაწეულია სულ 9.9 ათასი ლარი, რომელთა გაწევის აუცილებლობა და მიზნობრიობა დაუსაბუთებელია, კერძოდ:

- 2012 წლის 27 დეკემბრიდან 2013 წლის 3 იანვრის ჩათვლით სააგენტოს დირექტორის მოადგილე¹⁰ მივლინებით იმყოფებოდა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. აღნიშნულ მივლინებაზე სააგენტომ გაწია 2,085 ლარის საკასო ხარჯი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სააგენტოს დირექტორის ბრძანება და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წერილი) მივლინების მიზნობრიობა დაუსაბუთებელია.
- 2012 წლის 25 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით და 2013 წლის 20 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით სააგენტოს დირექტორის იგივე¹¹ მოადგილე საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში და საფრანგეთში ვიზიტებთან დაკავშირებით (დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა პრეზიდენტის N 22/11/02 და N 14/01/03 განკარგულებებით), მივლინებით იმყოფებოდა უკრაინასა და საფრანგეთში. მივლინების საკასო ხარჯებმა შეადგინა 2,698 და 5,146 ლარი;

გადამზადების ხარჯი

- სააგენტოს დირექტორის მოადგილე¹² კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2013 წლის მარტში იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში. კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებლად წარმოდგენილია REGENT'S COLLEGE LONDON-ის სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მან 2013 წლის 04 მარტიდან 28 მარტის ჩათვლით წარმატებით გაიარა ელემენტარული დონის (Elementary Level) ინტენსიური კურსი ინგლისურ ენაში. აღნიშნულზე გაიწია 6,211 ლარის საკასო ხარჯი, რომელიც დაფინანსდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების¹³ საფუძველზე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასაბუთდა ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნული კურსის გავლის აუცილებლობა.

¹⁰ ნიკოლოზ სეფაშვილი

¹¹ ნიკოლოზ სეფაშვილი

¹² ბესიკ ბარქაია

¹³ 2013 წლის 24 იანვრის განკარგულება N24/01/02-ით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სააგენტოს გამოეყო 6700 ლარი.

4. შპს „YIT გერმანიასთან“ ავლაზის ადმინისტრაციული კომპლექსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები

2012 წლის 18 ოქტომბერს სააგენტოსა და შპს „YIT გერმანია-ს“ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის¹⁴ შესაბამისად გაფორმდა ხელშეკრულება N374, ავლაზის ადმინისტრაციული კომპლექსის ელექტროსისტემების ზედამხედველობისა და ტექნიკური პერსონალის ინსტრუქტაჟის მომსახურების თაობაზე. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 37.0 ათასს ევროს. 2012 წლის 26 ოქტომბერს მხარეებს შორის დამატებით გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით სააგენტოს დაეკისრა ყველა გადასახადის (მათ შორის დღგ) და ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდა.

ხელშეკრულების 4.2 პუნქტის მიხედვით შპს „YIT გერმანიას“ უნდა განეხორციელებინა „ექსპლუატაციის მომსახურების ტექნიკური დავალების დამტკიცება, ოპერატიული პერსონალისთვის თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციების პერიოდული განახლება; ტექნიკური პერსონალის მიერ ექსპლუატაციის წესების, საწარმოო უსაფრთხოების და თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციების ცოდნის პერიოდული შემოწმება“. ხელშეკრულების 3.3 პუნქტის მიხედვით „კომპანია ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს ყოველთვიური ანგარიში მის მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგების შესახებ ...“ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლებოდა მიმწოდებლის მიერ ანგარიშის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა ექსპლუატაციის ტექნიკური დავალების დამტკიცება, პერსონალისთვის თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციების განახლება. პასუხისმგებელი პირის სიტყვიერი განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაცია არ დამტკიცებულა და არც ინსტრუქციები განახლებულა. მიუხედავად ამისა, მხარეებს შორის 2012 წლის 18 ნოემბერს და 17 დეკემბერს გაფორმებული N102 და N111 მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სააგენტოს მომწოდებლისთვის გადარიცხული აქვს 37.0 ათასი ევრო, ეკვივალენტი 80.3 ათასი ლარი, ხოლო არარეზიდენტი საწარმოს დღგ-ს გადასახადის სახით გადახდილია 14.5¹⁵ ათასი ლარი. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შესახებ და ვერ დგინდება საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვის საფუძველი.

¹⁴ აღნიშნული მუხლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

¹⁵ 80.3*18%

5. შვეულმფრენის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების და მათი შესრულების ხარვეზები

2011 წლის განმავლობაში სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის N1-1/1365 ბრძანებით, თხოვნის ფორმით გადმოცემული MI-8-T ტიპის შვეულმფრენი. აღნიშნული ბრძანების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო ვალდებული იყო გადმოცემული ქონება სრულ წესრიგსა და სანიმუშო მდგომარეობაში ჰქონოდა. ამ მიზნით, 2011 წლის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრებით გაწეულია 248.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შვეულმფრენის გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 120.3 ათასი ლარი. აღნიშნული შემოსავლის მიღების მიზნით გახარჯულია 74.5 ათასი ლარი.

2011 წლის განმავლობაში შვეულმფრენზე გაწეული საკასო ხარჯი და მიღებული შემოსავლები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში							
წყარო	საკასო შემოსავალი	სულ საკასო ხარჯი მათ შორის :	ტექ. მომსახურება	საწვავი	ზეთი	დაზღვევა	სხვაობა (2-3)
1	2	3	4	5	6	7	8
საბიუჯეტო	-	248.0	176.7	37.5	9.4	24.4	-
ეკონომიკური	120.3	74.5	27.4	47.1	-	-	45.8
სულ	120.3	322.5	204.1	84.6	9.4	24.4	-

5.1. შპს „ვანილა სქაი ჯორჯიას“ და შპს „სერვისეირთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის მიღების მიზნით, სააგენტოსა და შპს „ვანილა სქაი ჯორჯიას“ შორის 2011 წლის 24 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება #1 MI-8-T ტიპის შვეულმფრენით ჩარტერული რეისების შესრულებაზე, რომლის მიხედვით შპს „ვანილა სქაი ჯორჯიას“ სააგენტოსთვის უნდა გადაეხადა 4,000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ერთი ფრენა საათის ღირებულება. დამატებით 2011 წლის 10 აპრილს გაფორმებული შეთანხმებით ფრენა საათის ღირებულება გაიზარდა 4,267.12 ლარამდე. ხელშეკრულებით, შპს „ვანილა სქაი ჯორჯია“ პასუხისმგებელი იყო მხოლოდ მგზავრთა მობილიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო შვეულმფრენის ტექნიკურ გამართულობასა და ფრენის ორგანიზაციულ საკითხებს, მათ შორის საწვავს უზრუნველყოფდა სააგენტო.

სააგენტომ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში (28.23 ფრენა საათის მომსახურების გაწევის შემდეგ) მიიღო 120.8 ათასი ლარის შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით). ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ვანილა სქაი ჯორჯია“ ვალდებული იყო წინასწარი წერილობითი შეტყობინებით, სააგენტოსთან შეეთანხმებინა მარშუტი, ფრენა-საათების საორიენტაციო ოდენობა, გაფრენისა და უკან დაბრუნების დრო და მგზავრთა სრული სია. აუდიტის ჯგუფმა

შეისწავლა 2011 წელს კანცელარიის სამსახურში შემოსული წერილები. შედეგად, შპს „ვანილა სქაი ჯორჯიასგან“ წერილის მიღება არ დასტურდება. სააგენტოს მიერ შემოსავლების დარიცხვა ხორციელდებოდა, მხოლოდ დამკვეთის მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში მოცემული ფრენა საათების მიხედვით. ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ავიაკომპანიის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლის მექანიზმი, შესაბამისად ვერ დასტურდება დარიცხული შემოსავლების სისრულე.

შვეულმფრენის ტექნიკური გამართულობის და შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად სააგენტოსა და შპს „სერვისეირის“ შორის 2011 წლის 5 იანვარსა და 1 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულებები N16 და N34, MI-8T ტიპის შვეულმფრენის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის თაობაზე, ღირებულებებით 21.4 ათასი და 200.9 ათასი ლარი. აღნიშნული მომსახურება მოიცავდა 2011 წლის განმავლობაში საფრენოსნო მომსახურებასა და საფრენი აპარატის აეროდრომზე განთავსებას. ხელშეკრულებების ფარგლებში სულ გადახდილია 204.1 ათასი ლარი, მათ შორის: 176.7 ათასი ლარი - საბიუჯეტო სახსრებით, ხოლო 27.4 ათასი ლარი - სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.

სააგენტოს არც აღნიშნულ შემთხვევაში განუხორციელებია შპს „სერვისეირის“ მიერ მოწოდებული მომსახურების ტექნიკური კონტროლი, რომლის უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ხელშეკრულებების 3.1 და 3.5 პუნქტებით¹⁶.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერიდან გამოვლინდა, რომ შპს „სერვისეირი“ ფლობს შპს „ვანილა სქაი ჯორჯიას“ კაპიტალის 90%-ს. არსებული სუსტი კონტროლის პირობებში კერძოდ, ხელშეკრულებებში ვალდებულებების შესრულების კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, არსებობდა რისკი იმისა, რომ დაკავშირებულ მხარეებს სააგენტოსთან შეუთანხმებელად განეხორციელებინათ ფრენები და შესაბამისად, სააგენტოს ბალანსზე რიცხული აქტივი გამოეყენებინათ საკუთარი მიზნებისთვის, ხელშეკრულების გვერდის ავლით.

5.2. შპს „ავიასაწვავსერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

ფრენების საწვავით უზრუნველყოფის მიზნით (ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში), სააგენტოსა და შპს „ავიასაწვავსერვისის“ შორის 2011 წლის 14 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N2, JT-1 ტიპის საავიაციო საწვავის მოწოდების თაობაზე, ღირებულებით 174.0 ათასი ლარი. შესყიდვის მოცულობა განისაზღვრა 90.0 ათასი ლიტრით. ხელშეკრულების ფარგლებში სულ შეძენილია 47.1 ათასი ლარის ღირებულების 21.7 ათასი ლიტრი საწვავი.

¹⁶ 3.5 პუნქტით დაკონკრეტებულია სააგენტოს მხრიდან კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

საბიუჯეტო სახსრებით სააგენტოსა და შპს „ავიასაწვავსერვისის“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები N17 17.01.2011, N48 22.02.2011 საავიაციო საწვავის JT-1 შესყიდვაზე. ხელშეკრულებების მოცულობები და ღირებულებები განისაზღვრა ერთ შემთხვევაში 5.0 ათასი ლიტრითა და 9.5 ათასი ლარით, ხოლო მეორე შემთხვევაში 33.2 ათასი ლიტრითა და 64.6 ათასი ლარით. ჯამში მოწოდებულია 17.7 ათასი ლიტრის საწვავი, ღირებულებით 37.5 ათასი ლარი.

შპს „ავიასაწვავსერვისთან“ 2011 წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტო არ იყენებდა ხელშეკრულებებით განსაზღვრულ უფლებას, რომლის მიხედვით მას უნდა გაეკონტროლებინა საწვავის მიღების პროცესი.

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები წარმოდგენილია მხოლოდ 2011 წლის 17 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებლად. დოკუმენტის თარიღი 16.01.2011 წინ უსწრებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღს. დანარჩენ შემთხვევებში წარმოდგენილია მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები. სასაქონლო ზედნადებებსა და მიღება-ჩაბარების აქტზე (წარმოდგენილია მხოლოდ ერთი აქტი) სააგენტოს წარმომადგენლის ხელმოწერის ნაცვლად ფიქსირდება შპს „სერვისეირის“ წარმომადგენლის ხელმოწერა. ხელშეკრულების მიხედვით აღნიშნული მომსახურების „შემსყიდველი“ სააგენტოა და არა შპს „სერვისეირი“. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვერ დასტურდება ხელშეკრულების პირობების შესრულება და დაუსაბუთებელია მისი ხარჯებში ჩამოწერის საფუძვლები.

6. მთავრობის განკარგულების არასწორი გამოყენების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებები

სააგენტომ ინტერნეტ მომსახურების შესყიდვის საფუძველად არასწორად გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულება და მომსახურება შეიძინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მოცემული მომსახურების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა გათვალისწინებული და დაგეგმილი იყო 2012 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებული 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით. 2012 წლის 31 დეკემბერს ორგანიზაციამ შესყიდვების გეგმაში შეიტანა ცვლილება და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე გადაწყვიტა ინტერნეტ მომსახურების გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელება. განკარგულების მიხედვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცათ უფლება საკომუნიკაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.”

სააგენტომ აღნიშნული განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდა 2013 წლის ინტერნეტ მომსახურება, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით და განკარგულებით განსაზღვრული პირობა: „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით...“

განკარგულების საფუძველზე, 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში გაფორმებულია შემდეგი ხელშეკრულებები:

- სს სილქნეტთან - ხელშეკრულება N11/13, 2012 წლის 31 დეკემბერს, ღირებულებით - 101.7 ათასი ლარი;
- შპს „კავკასუს ონლაინთან“ - ხელშეკრულება N505, 2012 წლის 31 დეკემბერს, ღირებულებით - 32.4 ათასი ლარი;
- Tulix Systems-თან - ხელშეკრულება N11/48 2013 წლის 18 იანვარს, ღირებულებით 8.9 ათასი აშშ დოლარი.

სააგენტომ იგივე განკარგულება გამოიყენა 2014 წლის ინტერნეტ მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვისას და გააფორმა ხელშეკრულებები:

- სს „სილქნეტთან“- 2013 წლის 31 დეკემბრის N11/405 ხელშეკრულება, ღირებულებით - 101.3 ათასი ლარი
- შპს „კავკასუს ონლაინთან“ - 2013 წლის 31 დეკემბრის N11/403 ხელშეკრულება ღირებულებით - 32.4 ათასი ლარი.

პრეზიდენტის განკარგულება წარმოადგენს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომლიც ერთჯერადია და გამოიცემა მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე¹⁷. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (განკარგულება) მრავალჯერადი გამოყენება იძენს ნორმატიული აქტის შინაარსს და ეწინააღმდეგება საქართველოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს¹⁸.

7. ჩანაცვლებასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები

შპს „კრესავტოჰაუსთან“-თან გაფორმებული 2011 წლის 28 მარტის N67 ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიამ სააგენტოს მიაწოდა 3 ერთეული ახალი ავტომანქანა ღირებულებით 74.2 ათასი აშშ დოლარი, ეკვივალენტი 125.3 ათასი ლარი, ხოლო სააგენტომ სანაცვლოდ გადასცა 3 ერთეული ავტომანქანა ღირებულებით 5.9 ათასი ლარი (მოწოდებული მანქანების ღირებულების 4.7%). ფასთა სხვაობის შესავსებად სააგენტომ შპს „კრესავტოჰაუსს“ გადაუხადა 119.4 ათასი ლარი (ღირებულების 95.3%). გადაცემის მომენტში სააგენტოს ბალანსზე რიცხული გადაცემული ავტომანქანების საბალანსო ღირებულება იყო 46.4 ათასი ლარი, მაგრამ მათი

¹⁷ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით

¹⁸ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით „დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა) და ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის ნორმატიული აქტის სახით მიღება“

ჩამოფასება მოხდა სსიპ „ლევან სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე 5.9 ათას ლარამდე.

ანალოგიურად, შპს „მბს“-თან გაფორმებული 2011 წლის 14 დეკემბრის N334 ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიამ სააგენტოს მიაწოდა 5 ერთეული ახალი ლეპტოპი ღირებულებით 7,400 ლარი, ხოლო სააგენტომ სანაცვლოდ გადასცა 9 ერთეული ლეპტოპი, ღირებულებით 125 ლარი. (მოწოდებული ლეპტოპის ღირებულების 1.7%). ფასთა სხვაობის შესავსებად ორგანიზაციამ შპს „მბს“-ს გადაუხადა 7,275 ლარი (ღირებულების 98.3%).

აღნიშნული გარიგებით, სააგენტომ ჩაანაცვლა 6.03 ათასი ლარის აქტივი, მაშინ როდესაც შესასყიდი აქტივების (ავტომობილები და კომპიუტერები) ღირებულებამ შეადგინა 132.7 ათას ლარი. ფასთა ასეთი თანაფარდობით „ჩანაცვლების“ განხორციელება ფაქტობრივად წარმოადგენდა ტენდერის გარეშე შესყიდვის განხორციელებას, რომელიც ემსახურება ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული ავტომანქანების და ლეპტოპების ბაზარი ხასიათდება კონკურენტული გარემოთი, ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში, ტენდერის მსვლელობისას ფასის კლება შესაძლოა ბევრად უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე ჩანაცვლებული აქტივების ღირებულება (ერთ შემთხვევაში 5900 ლარი და მე-2 შემთხვევაში 125 ლარი).

8. წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სისუსტეები

სააგენტოს 2011-2013 წლების განმავლობაში წარმომადგენლობით ხარჯებზე გაწეული აქვს ჯამში 949.7 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი. მათ შორის: 2011 წელს - 301.3 ათასი, 2012 წელს - 358.1 ათასი, 2013 წელს -290.3 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, წარმომადგენლობითი ხარჯი სააგენტოს მიერ გაწეულია მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან (ყველა რეზიდენციიდან, გარდა ავლაბრის რეზიდენციისა) მიღებული წერილების საფუძველზე, სადაც მითითებულია მხოლოდ ის, რომ კონკრეტული თარიღისთვის დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის მოწვეული სტუმრების ვიზიტი. წერილებში არ ფიქსირდება მოთხოვნა გასატარებელი ღონისძიებების, მოწვეული სტუმრების რაოდენობის/ვინაობის შესახებ. სტუმრების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ასევე არ ფიქსირდება წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევის შემდეგ, რეზიდენციების უფროსების მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათებშიც (უმრავლეს შემთხვევაში წარმოდგენილია მოხსენებითი ბარათები). პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში წარმომადგენლობითი ხარჯები გაიწეოდა სააგენტოს დირექტორთან მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ვერ დგინდება აღნიშნული ხარჯის გაწევის მიზნობრიობა.

9. არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლასა და აღრიცხვასთან დაკავშირებული შეუსაბამოებები

9.1. მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

2013 წლის 1 ივლისსა და 2013 წლის 15 ოქტომბერს სააგენტომ ბალანზე ასახა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გადმოცემული მოძრავი ქონება, ღირებულებით - 441.6 ათასი ლარი.

აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 2013 წლის 21 ივნისის N5/53 წერილი, რომლითაც სააგენტოს დირექტორი მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თხოვნით, რათა გადმოეცეს დანართში მოცემული ქ. თბილისში, ცუცქირიძისა და აბდუშელიშვილის ქუჩების მიმდებარე შენობა-ნაგებობებში (N1,N2,N3,N4,N5) განთავსებული მოძრავი ქონება. წერილის დანართის მიხედვით, ჩამოთვლილი ქონების ნაწილი მოცემულია, როგორც რაოდენობად ასევე ღირებულებით, ხოლო ნაწილი - მხოლოდ რაოდენობრივად. სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული დანართების წარმომავლობის შესახებ.

2013 წლის 27 ივნისს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ N5/18207 წერილით თანხმობა განუცხადა N5/53 წერილის დანართში წარმოდგენილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე. წერილის საფუძველზე, სააგენტომ 2013 წლის 1 ივლისსა და 2013 წლის 15 ოქტომბერს ბალანსზე ასახა მოძრავი ქონების ნაწილი, სულ 441.6 ათასი ლარის ღირებულებით. ღირებულებები, რომლითაც გადმოცემული ქონების ნაწილი ბალანსზე აღირიცხა განსაზღვრულია სააგენტოს მიერ ეკონომიკის სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილის დანართიდან, რომლის სიზუსტე სააგენტოს მიერ ვერ დასტურდება ხოლო გადმოცემული ქონების ნაწილი, რომლის ღირებულებები სააგენტოს წერილის დანართით არ იყო განსაზღვრული ბალანსზე ვერ იქნა ასახული.

აღნიშნულ დანართში ღირებულებების გარეშე მოცემული მოძრავი ქონების რეალური ღირებულების დადგენის მიზნით, სააგენტოს დირექტორმა 2013 წლის 25 ივლისის N5/66 წერილით მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“. 2013 წლის 3 სექტემბერის წერილით ბიურომ უარი განაცხადა ექსპერტიზაზე და სააგენტოს მისცა რეკომენდაცია ჩატარებინა ქონების ინვენტარიზაცია და დაესაწყობებინა საქონელი სახეობების მიხედვით, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სასაქონლო ექსპერტიზა და მათი შეფასება. 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სააგენტოში მოძრავი ქონების დარჩენილი ნაწილის ბალანსზე ასახვასთან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არასრულია, რაც შეუსაბამოა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების

შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვით ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის სრულად და უტყუარად წარმოება.

2013 წლის 31 დეკემბრის და 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სააგენტოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია¹⁹. შესაბამისად, გადმოცემული ქონების, მათ შორის ბალანსზე აღრიცხული 441.6 ათასი ლარის ღირებულების მოძრავი ქონების არსებობა, სისრულე და სიზუსტე ვერ დასტურდება.

9.2. შენობა-ნაგებობები და არაწარმოებული აქტივები

სააგენტოს ცალკეულ შემთხვევებში არ აქვს გამიჯნული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის ღირებულებები და ბალანსზე აღრიცხული აქვს, როგორც შენობა-ნაგებობები. შესაბამისად, ცვეთას შენობა-ნაგებობებთან ერთად არიცხავს არაწარმოებულ აქტივს - მიწას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით „მიწა არაამორტიზირებადი აქტივია, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და არ ხდება მისი ცვეთა“. ამ მოთხოვნის შეუსაბამოდ არის აღრიცხული შემდეგი აქტივები:

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 26 მარტის N1-1/617 ბრძანებით სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ქ. თბილისში, ალვანის ქ. N5-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1,333.83 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღირებულებით - 4,224.9 ათასი ლარი;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის N1-1/24 ბრძანებით სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემული ქ. ზუგდიდში ლალიძის ქ. N1 და სოხუმის ქ. N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მასზე წილობრივად დამაგრებული 2,798.6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღირებულებით - 1,483.1 ათასი ლარი.

¹⁹ არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანება.

10. ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობა

სააგენტოში, შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში, მოქმედი წესის, შესაბამისად არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია²⁰. შესაბამისად, ბალანსზე აღრიცხული აქტივების არსებობა და სისრულე არ დასტურდება.

11. ცვეთის დარიცხვის მეთოდის არასწორი გამოყენება

სააგენტოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ორგანიზაცია 2011 წლამდე ცვეთას არიცხავდა ბალანსზე ასახული აქტივების კლებად ნაშთს (ნარჩენ ღირებულებას), რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნას²¹. შესაბამისად, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარებით, სააგენტოს ბალანსზე რიცხული აქტივები გაზრდილი ღირებულებითაა წარმოდგენილი. 2011 წელს ორგანიზაციამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორა წინა წლებში შეცდომით დარიცხული ცვეთის ეფექტი. 2011 წლის შემდგომ მიღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა აწარმოა საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სააგენტოს მიერ არასრულად და არაზუსტად არის წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების ერთიანი ბაზა, სადაც მოცემულია თითოეული აქტივის ისტორიული ღირებულება და დარიცხული დაგროვილი ცვეთა. სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მსგავსი მონაცემების შემცველი ზუსტი ინფორმაცია. შესაბამისად, ვერ დგინდება ცვეთის დარიცხვის სისწორე და სიზუსტე.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სააგენტოს მიერ 2011-2013 წლებში გაწეული საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებს.

²⁰ არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანება.

²¹ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“- მუხლი „3“

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების აზიზი

1. შრომის ანაზღაურება

2011-2013 წლებში სააგენტოს დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა იცვლებოდა 214-დან 200 ერთეულამდე²². წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფაქტიურად დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 189-191 ერთეულს. თანამშრომელთა წახალისების მიზნით სამივე წლის განმავლობაში განხორციელდა მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების ხარჯზე შრომის ანაზღაურების მუხლის (ზრდა) დაზუსტება.

ათას ლარებში						
	2011		2012		2013	
დასახელება	დაზუსტ. გეგმა	შესრულება	დაზუსტ. გეგმა	საკასო	დაზუსტ. გეგმა	საკასო
შრომის ანაზღაურება	2,267.2	2,267.2	2,643.7	2,637.3	2,773.3	2,684.9
მათ შორის: პრემია	-	394.0		676.7		469.8

სააგენტოს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებულმა ასიგნებამ შეადგინა 2013 წელს -2,563.3 ათასი, 2012 წელს - 2,204.2 ათასი, ხოლო 2011 წელს - ბიუჯეტის კანონის თავდაპირველი რედაქციით 1,969.8 ათასი ლარი (დამტკიცდა საპრემიო ფონდის გარეშე), ხოლო საბოლოო რედაქციით²³ 2,259.6 ათასი ლარი.

2012 წელს პრემიის მუხლით გაწეულია 676.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების წლიური ოდენობის 37%-ია. 2012 წლის 16 ოქტომბრის N1874 განკარგულებით სააგენტოზე არ გავრცელდა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა განისაზღვრა 40%-ით.

2012 წლის განმავლობაში „წახალისების მიზნით“, სააგენტოს დირექტორის ბრძანებების საფუძველზე, თანამშრომელებზე გაცემულია პრემია თანამდებობრივ სარგოსთან თანაფარდობით 0%-დან 176%-მდე,²⁴ ხოლო 2011 წელს- 0%-დან 236%-მდე.

2. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით შემენილი მატერიალური მარაგები

2012 წლის 4 და 6 დეკემბერს სააგენტოსა და შპს YIT გერმანიას შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის²⁵ შესაბამისად

²² 2011 წელი -214 ერთეული; 2012-2013 წლები - 200 ერთეული.

²³ ნოემბრის ცვლილების გათვალისწინებით

²⁴ 176%- მთავარ მზარეულზე

გაფორმდა #458 და #465 ხელშეკრულებები ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის საინჟინრო სისტემების დანადგარებისთვის სათადარიგო მასალების შესაძენად, ღირებულებებით - 25.5 ათასი და 47.9 ათასი ევრო. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების²⁶ საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით 2012 წლის დეკემბრის ბოლოს ორგანიზაციას ავანსის სახით გადაერიცხა სახელშეკრულებო ღირებულებების 100%, 73.4 ათასი ევრო, ეკვივალენტი - 160.3 ათასი ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მარაგების მოწოდება და ორგანიზაციის მიერ მათი ბალანსზე აღრიცხვის ოპერაცია განხორციელდა 2013 წლის 11 მარტის #C11769 საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე, ღირებულებით - 160.3 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას მარაგები ბალანსზე ასახული აქვს 34.5 ათასი ლარით შემცირებული ღირებულებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების²⁷ შეუსაბამოდ, სააგენტომ საბაჟოზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის 29.5 ათასი და ტრანსპორტირებაზე გადახდილი 5.0 ათასი ლარი ჩამოწერა ხარჯებში.

ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შპს YIT გერმანიისგან შეძენილი მარაგების დიდი ნაწილი სააგენტოს ნაშთად ერიცხება. კერძოდ, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 152.7 ათასი ლარი, ანუ შეძენილი მარაგების 95%, ხოლო 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით - 130.5 ათასი ლარის (81%) მარაგები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული მარაგები მნიშვნელოვანია სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.

სააგენტომ 2012 წლის 5 ნოემბერს და 5 დეკემბერს შპს „ლუმინასთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 1.3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის²⁸ შესაბამისად, გააფორმა N389 და N461 ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების საგანს წამოდგენდა გასანათებელი მოწყობილობების შესყიდვა. სახელშეკრულებო ღირებულებები ანაზღაურდა 2012 წლის დეკემბრის ბოლოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით, სულ 39.4 ათასი ლარი. აღნიშნული საქონელი შპს ლუმინამ სააგენტოს მოაწოდა 2012 წელსვე.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შპს „ლუმინასგან“ შეძენილი მარაგების 85%, ღირებულებით 33.5 ათასი ლარი სააგენტოს ნაშთად ერიცხებოდა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ნაშთად ერიცხება შეძენილი მარაგების 80 %, ღირებულებით 31.4 ათასი ლარი.

²⁵ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით

²⁶ 2012 წლის 19 ოქტომბრის N19/10/02 პრეზიდენტის განკარგულება

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება N1321 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 21-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

²⁸ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით

ანალოგიურად, 2013 წელს შპს „ლუმინასთან“ 2013 წლის 15 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N11/153 გასანათებელი მოწყობილობების შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 1.3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის²⁹ შესაბამისად. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 13.5 ათასი ლარით. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება განხორციელდა 2013 წელსვე. სააგენტომ მოწოდებული საქონლის ღირებულება აანაზღაურა 2013 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით.

მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შპს „ლუმინასთან“ 2013 წელს შეძენილი მარაგების 95%, 12.8 ათასი ლარი სააგენტოს ნაშთად ერიცხებოდა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით - 88%, ღირებულებით - 11.9 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დასტურდება ზემოხსენებული მარაგების შესყიდვის მიზნობრიობა და აუცილებლობა. საანგარიშგებო პერიოდში არ ფიქსირდება აღნიშნულ მარაგებში მნიშვნელოვანი ცვლილებები.

3. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემამდე გაფორმებული ხელშეკრულებები

2012 წლის 16 და 18 ოქტომბერს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის³⁰ საფუძველზე სააგენტომ გააფორმა ხელშეკრულებები N393 და N374 სს „სილქნეტთან“ და შპს „YIT გერმანიასთან“, ღირებულებებით - 20.5 ათასი ლარი და 37.0 ათასი ევრო. ხელშეკრულებების გაფორმების თარიღისთვის, მოცემული შესყიდვების განხორციელება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.3¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, არამართებული იყო, ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულება სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის თაობაზე გამოიცა 2012 წლის 19 ოქტომბერს. ხელშეკრულებების გაფორმების თარიღები წინ უსწრებდა სარეზერვო ფონდებიდან თანხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

4. საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული კონტროლის სისუსტეები

სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა 2011-2013 წლებში ორგანიზაციის სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციებს და თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობას.

2014 წლის 7 ივლისს სააგენტოს ზემდგომი ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის N14243 ბრძანებით დამტკიცდა სააგენტოს დებულება,

³⁰საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით

რომელშიც გაწერილია სააგენტოს სტრუქტურა და დანაყოფების ფუნქციები. აღნიშნულ დებულებაში არ ფიქსირდება სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის არსებობა და ის ქვედანაყოფი, რომლის ფუნქციებშიც შედის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის მომზადება და მისი განხორციელება-კონტროლი.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის შესასრულებლად, სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 8 აგვისტოს N1/49 ბრძანებით დამტკიცებულია ორგანიზაციის ძირითად თანამშრომელთა თანამდებობრივ კომპეტენციათა აღწერილობა, სადაც იურიდიული სამსახურის თანამშრომლის „შესყიდვების სპეციალისტის“ კომპეტენციათა აღწერილობაშია გაწერილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები.

სააგენტომ ვერ მოგვაწოდა ინფორმაცია 2013 წლის თებერვლიდან შესყიდვების გეგმებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ³¹. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სააგენტოს არ აქვს დამტკიცებული კანონმდებლობით მოთხოვნილი შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა³².

5. კომუნალური ხარჯები

სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეულია 2,307.0 ათასი ლარის კომუნალური ხარჯი. წლების და ეკონომიკური კლასიფიკაციის ქვემუხლების მიხედვით ჩაშლილი კომუნალური ხარჯი წარმოდგენილია ცხრილის სახით:

დასახელება	2011	2012	2013
ელექტროენერგიის ხარჯი	97,247	280,997	736,590
ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	210,231	226,855	283,111
შენობა-ნაგებ. და მათი მიმდებარე ტერიტ. მოვლა/დასუფთ. ხარჯი	19,189	155,496	171,421
სხვა კომუნალური ხარჯი ³³	47,664	50,975	27,242
სულ	374,331	714,323	1,218,364

2012 წლის ბოლოს და 2013 წელს კომუნალური ხარჯების მკვეთრი ზრდა ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სააგენტოს 2012 წელს დაევალა ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის მოვლა-შენახვა, შესაბამისად, კომპლექსის კომუნალური ხარჯების გადახდა.

³¹ შესყიდვის გეგმები ცვლილების თარიღის მდგომარეობით

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის N2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნა, მუხლი „4“ პუნქტი „1“

³³ წყლის ხარჯი, კანალიზაციისა და ასინილაციის ხარჯი, გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის ხარჯი

სარეკომენდაციო წერილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სახელმწიფო
უზრუნველყოფის სააგენტოს“ შესაბამისობის აუდიტი

01.01.2011 - 01.01.2014

სარჩევი

შესავალი.....	3
შესაბამისობის აუდიტისას გამოვლენილი არსებითი უზუსტობები.....	4
1. ქონების ინვენტარიზაცია.....	4
2. ცვეთის დარიცხვა.....	5
3. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა.....	6

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ 2011 წლის 1 იანვარიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ფარგლებში გამოვლინდა როგორც შიდა კონტროლის სისუსტეები და ნაკლოვანებები, ისე მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო გარემოებები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სააგენტოს საქმიანობის შედეგებზე.

სარეკომენდაციო წერილში წარმოდგენილია აუდიტის იმ პროცედურების ჩატარებისას გამოვლენილი ფაქტები, რომლებიც შემუშავდა შესაბამისობის აუდიტის სრულყოფილად ჩატარების მიზნით. შესაბამისად, წერილში წარმოდგენილი კომენტარები არ მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც შესაძლოა გამოვლენილიყო შიდა კონტროლების შემოწმების შედეგად.

შესაბამისობის აუდიტისას გამოვლენილი არსებითი უზუსტობები

1. ქონების ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოება:

სააგენტოში, შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში, ქონების არსებობის და სისრულის დასადასტურებლად მოქმედი წესის შესაბამისად არ ჩატარებულა სავალდებულო ინვენტარიზაცია.

გავლენა:

არაფინანსური აქტივების მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორედ არის წარდგენილი, რადგან შეუფასებელი და აღურიცხავია გადმოცემული ქონების ნაწილი, რაც შეუსაბამოა მარეგულირებელი ნორმის მოთხოვნებთან¹.

რეკომენდაცია:

ქონების აღრიცხვის სისრულისა და სისწორის დასადგენად ჩატარდეს სავალდებულო ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და აღირიცხოს გადმოცემული აქტივები სრულად.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნებთან.

2. ცვეთის დარიცხვა

გამოვლენილი გარემოება:

ორგანიზაცია 2011 წლამდე ცვეთას არიცხავდა კლებად ნაშთს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N439 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნას².

გავლენა:

სააგენტომ ნაწილობრივ გამოასწორა წინა წლებში შეცდომით დარიცხული ცვეთის ეფექტი, მაგრამ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული აქტივები გაზრდილი ღირებულებითაა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია:

კლებად ნაშთზე დარიცხული ცვეთის ეფექტის გამოსასწორებლად, სააგენტომ მოახდინოს ძირითადი საშუალებების ბაზის სრულყოფა (დაზუსტება) და ცვეთის მეთოდის შეცვლის ეფექტის ზუსტი დაანგარიშება.

² ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“- მუხლი „3“

3. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

გამოვლენილი გარემოება:

სააგენტოს არ აქვს დამტკიცებული კანონმდებლობით მოთხოვნილი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების, მასში ცვლილების განხორციელების წესი და ფორმა.

გავლენა:

2013 წლის თებერვლიდან სააგენტოს არ გააჩნია სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია:

სააგენტომ შეასრულოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით³ განსაზღვრული მოთხოვნა და შეიმუშაოს შესყიდვების გეგმის დამტკიცების, მასში ცვლილების განხორციელების წესი და ფორმა.

³ 2011 წლის 10 თებერვალის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 2